ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01. 12. 2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/14

შეკითხვა:

ადვოკატი იცავს კომპანიის ინტერესებს 4 წლის მანძლზე სასამართლოში. კომპანიის საქმიანობა ფაქტობრივად შეჩერებულია. ადვოკატს აქვს რწმუნება უვადო და სრული უფლებამოსილებით. კომპანიის მიმართ, ასევე, კომპანიის მიერ, წარდგენილია 4 წლის მანძილზე არაერთი სარჩელი. ადვოკატს თანხა არ მიუღია, თუმცა, კლიენტს აღიარებული აქვს უკვე „მოგებული" პროცესების გამო ადვოკატთან ფინანსური ვალდებულება ვალის ხელწერილით. ცალკე ხელშეკრულება მომსახურებაზე არ დადებულა და კლიენტი არ დებს ამ ხელშეკრულებას.

კლიენტი ითხოვს მომსახურების გაგრძელებას მსგავსი და ურთიერთდაკავშირებული სასარჩელო წარმოებების გამო, მაგრამ არანაირ თანხას არ იხდის, მათ შორის გადაადგილების, ქსეროქსის, სანოტარო ასლის დადასტურების ხარჯებს, ან იხდის ნაწილობრივ და იძლევა დაპირებებს.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი დავის დასრულებამდე მესამე პირები აღძრავენ სარჩელს და ადვოკატი ერთვება ასეთ პროცესებში (ერთგვაროვანი და მსგავსი მოთხოვნების გამო); მით უმეტეს, ადვოკატი ცდილობს დავები დასრულდეს, რათა მან მიიღოს აღიარებული ჰონორარი, თუ ეს დავები დასრულდება.

როგორ შეუძლია შეწყვიტოს მომსახურება ადვოკატს ისეთ პირობებში, რომ მას ხელფასი ამ კომპანიაში არასოდეს ჰქონია და ხარჯების უმნიშვნელო თანხების გარდა ჰონორარის ნაწილიც არ მიუღია? (მაგრამ დავები რთულია და დროში გაჭიანურებულია)

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა

კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი: ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის არ იყო გაფორმებული წერილობით ხელშეკრულება, ზეპირი შეთანხმებისა და რწმუნებულების არსებობის შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი ადვოკატს უფლებას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების უპირატესობითაა გაჯერებული და ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის მიერ სახელშეკრულებო ურთერთობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზია ჰონორარის გადაუხდელობა-იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეთანხმებული წესით არ იხდის მომსახურების ანაზღაურების თანხას, ადვოკატს უფლება აქვს უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე, თუმცა, მან უნდა გაითვალისწინოს მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის რეგულაცია და არ იმოქმედოს ისე, რომ კლიენტი უძლური იყოს „დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“ შესაბამისად, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კომპანიასთან ურთიერთობა ისე, რომ კომპანიას ჰქონდეს გონივრული ვადა

დაამყაროს სახელშეკრულებო ურთერთობა სხვა ადვოკატთან და ისარგებლოს მისი მომსახურებით. ასევე, თუ მიმდინარეობს კომპანიის რომელიმე საქმის სამართალწარმოება, ადვოკატმა ოფიციალური დოკუმენტით სასამართლოში უნდა დაადასტუროს, რომ წყვეტს ურთერთობას მის კლიენტთან.

ადვოკატი, ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ვალდებულია შეასრულოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება და კლიენტს ,,დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.''

დასკვნა:

ადვოკატსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა დაწყებულად ითვლება მათ შორის ზეპირი შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც. იმ დროს, როდესაც კლიენტი არ უხდის მომსახურების ანაზღაურებას შეთანხმებული ფორმით, ადვოკატს, სავარაუდოდ შეუძლია შეწყვიტოს კლიენტთან სამართლებრივი ურთიერთობა. აღიშნულის შემთხვევაში, ადვოკატმა, ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს, კერძოდ, კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. შესაბამისად, ადვოკატმა უნდა დაუწესოს კლიენტს გონივრული ვადა, რათა მან შეძლოს და დაამყაროს სახელშეკრულებო ურთერთობა სხვა ადვოკატთან და ისარგებლოს მისი მომსახურებით. ასევე, თუ მიმდინარეობს კომპანიის რომელიმე საქმის სამართალწარმოება, ადვოკატმა ოფიციალური დოკუმენტით სასამართლოში უნდა დაადასტუროს, რომ წყვეტს ურთერთობას მის კლიენტთან.

ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ადვოკატმა ,,კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.''

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/